საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
EDUCATORS AND SCIENTISTS FREE TRADE UNION OF GEORGIA

№ 01-01-33 24.02.2016.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სისტემატიურად ვატარებთ შეხვედრებს რაიონებში პედაგოგებთან. შეხვედრებზე გამოთქმული პედაგოგთა შეხედულებები არსებული მდგომარეობის შესახებ გასულ წელთან შედარებით კრიტიკულია. მათი მხრიდან იგრძნობა იმედგაცრუების ტენდენცია იმ დაპირებების შესრულებასთან მიმართებაში, რაც საპარლამენტო წინასაარჩევნო პერიოდში გამოთქმული იყო კაოლიცია ,,ქართული ოცნების" მიერ. პედაგოგებში განსაკუთრებულ გულისტკივილს იწვევს შრომის ანაზღაურების მომატების და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც უფრო გაამწვავა მე-13 ხელფასის მიუღებლობამ. მაშინ როდესაც, სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში ეს საკითხი გადაწყდა დადებითად. პედაგოგები სვამენ ლეგიტიმურ შეკითხვას, რატომ არის მათი ხელფასი ბევრად ნაკლები, სხვა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ს.ს.ი.პ-ებში დასაქმებულთა რიგითი თანამშრომლების სახელფასო განაკვეთი ბევრად მაღალია პედაგოგთა ანაზღაურებაზე. არსებული სტატისტიკით, ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი დაახლოებით 700 ლარია, მაშინ როდესაც პედაგოგის საშუალო შრომის ანაზღაურება არ აღემატება 350 ლარს.

ვითვალისწინებთ რა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ ქვეყანაში განვითარებულ დადებით პროცესებს და არსებულ სიძნელეებს, თავს ვიკავებდით გამოგვეყენებინა ჩვენი უფლება, მოგვეთხოვა პედაგოგთა შრომითი - სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. ვფიქრობთ, დღეს უკვე შეიძლება მოქმედების დაწყება ამ

ზ.ჟვანიას მოედანი, არშბას ქ. 5, თბილისი 0160, ტელ/ფაქსი (+995 32) 2 37 30 67, ელ-ფოსტა: info@educator.ge, www.educator.ge
Georgia, 0160, Tbilisi, Z. Zhvania Str, 5 Arshba Sq, Tel/Fax: (+995 32) 2 37 30 67, E-mail: info@educator.ge, www.educator.ge

პრობლემის ეტაპობრივად გადაწყვეტის მიზნით. პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზნით ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება.

აუცილებლობად მიგვაჩნია, დაიწყოს პედაგოგის საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდა, რათა უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში სახელმწიფომ უზრუნველყოს პედაგოგის ხელფასის გათანაბრება საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან.

სპმთპ გამოთქვამს მზადყოფნას, დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ამ მიმართულებით. გვაქვს კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები, რომელსაც წარმოგიდგენთ მოთხოვნისთანავე.

ქალბატონო თამარ, ვიცით, რომ პედაგოგთა პრობლემების გადაჭრა თქვენი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ასევე, პედაგოგები და სპმთპ მადლიერებას გამოხატავს იმ დადებითი ცვლილებების მიმართ, რაც განხორციელდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და იგეგმება მომავალში. ჩვენი ამჟამინდელი მოთხოვნაც ემსახურება ერთადერთ მიზანს, გაგრძელდეს დაწყებული საქმე. ვეყრდნობი რა, პედაგოგთა საზოგადოებაში არსებულ განწყობას, გაცნობებთ, რომ თუ პოზიტიური ცვლილებების პროცესი არ დაჩქარდა, რადიკალურად შეიცვლება ცვლილებების მოლოდინში მყოფი პედაგოგების აზრი.

პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მოტივაციის გაზრდასა და კომპეტენტური კადრების მოზიდვასთან, რაც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში.

პატივისცემით,

მაია კობახიძე

სპმთპ-ის პრეზიდენტი